

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების CASE OF KYPRIANOU v. CYPRUS (განაცხადის N73797/01)<sup>1</sup> მოკლე მიმოხილვა

*ზურა ფარქოსაძე (სტუდენტი)  
თამარ ჟვანია (სტუდენტი)  
მარიამ ლეკიშვილი (სტუდენტი)*

### პროცედურა

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით მიმართა ადვოკატმა კიპრიანუმ სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო მისი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების საქმეზე და მოითხოვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6(1) და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის დადგენა და მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაცია.

### ფაქტები

ადვოკატი გამოდიოდა დამცველად მკვლელობის საქმეზე ასიზების სასამართლოში. ბრალდების მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის დროს, მას სასამართლომ მისცა შენიშვნა, რომ გასცდა საქმის განხილვის არსებით საკითხებს. ადვოკატმა შეწყვიტა დაკითხვა და განაცხადა, რომ თუ სასამართლოს შეხედულებით ის თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა უნდა ჩამოეშორებინათ საქმიდან. სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ადვოკატმა შეწყვიტა დაკითხვა, რადგან მისი თქმით სასამართლომ აღუკვეთა შესაძლებლობა საქმისათვის მნიშვნელოვან საკითხზე დაეკითხა მოწმე. მან განაცხადა, რომ პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლეები საუბრობდნენ და „ravasakia“-ს<sup>2</sup> უგზავნიდნენ ერთმანეთს, რის გამოც დაკითხვას ვერ გააგრძელებდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადვოკატის მანერები, ხმის ტონალობა, მიმართვა წარმოადგენდა სასამართლოსადმი უპატივცემულობას და თუ უკან არ დაიხვედა გაასამართლებდნენ სასამართლოსათვის უპატივცემულობის გამო. ადვოკატმა სასამართლოს ხმამაღალი ტონით უპასუხა, რომ შეეძლოთ გაესამართლებინათ, რის შემდეგაც, ასიზების სასამართლომ ხმათა უმრავლესობით ხუთ დღიანი პატიმრობა მიუსაჯა ადვოკატს. სასამართლოს განმარტებით, ადვოკატის განცხადებები მიზნად ისახავდა სასამართლოს დაშინებასა და დათრგუნვას. სასამართლოსადმი ასეთი აშკარა უპატივცემულობა წარმოუდგენელი იყო ნებისმიერი პიროვნების, მით უფრო ადვოკატის მიერ და შესაბამისად, სასამართლოს რეაქცია უნდა ყოფილიყო მყისიერი. ადვოკატს პატიმრობასთან ერთად დაეკისრა ჯარიმა - 128,45 ევრო. ადვოკატმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი უმაღლეს სასამართლოში, რომელმაც განაჩენი უცვლელად დატოვა. ადვოკატს სადავოდ არ გაუხდია ფაქტი, რომ „შემჭიდროვებული სამართალწარმოების“<sup>3</sup> გამოყენება სასამართლოსადმი უპატივცემულობის საქმეებში ყოველთვის არ არის შეუთავსებელი კონვენციის მე-6 მუხლთან. მაგრამ, როდესაც უპატივცემულობა ჩადენილია სასამართლოს დარბაზში, სადაც მოსამართლე

<sup>1</sup><https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22%3A%5B%22Kyprianou%20v.%20Cyprus%22%5D%2C%22documentcollectionid%22%3A%22GRANDCHAMBER%22%2C%22CHAMBER%22%5D%2C%22itemid%22%3A%22001-71671%22%7D>

<sup>2</sup> სიტყვა „ravasakia“ ბერძნული სიტყვაა და ის შეიძლება აღნიშნავდეს სასიყვარულო შინაარსის მოკლე წერილს ან უბრალოდ ადრესატისთვის გაგზავნილ შეტყობინებას.

<sup>3</sup> „შემჭიდროვებული სამართალწარმოება“ გამოიყენება საერთო სამართლის ქვეყნებში „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ საქმეთა განხილვისას. იგი გულისხმობს გამარტივებული და სწრაფი პროცედურით საქმის განხილვას მოსამართლის ან მაგისტრატის მიერ ერთპიროვნულად, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე.

თვითონ არის თვითმხილველი და შეურაცხყოფა პიროვნულად მისკენაა მიმართული, საქმე სხვა მოსამართლემ უნდა განიხილოს, რადგან სავარაუდო დარღვევის მსხვერპლის თვალში, შეუძლებელია ასეთი პირი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, იყოს მიუკერძოებელი მსაჯული. ადვოკატის განცხადებით, მოსამართლეებმა მისი სიტყვები, რომელიც კლიენტის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა პირად შეურაცხყოფად აღიქვეს, რაც მათ პირად დაინტერესებაზე მიუთითებდა. კვიპროსის მთავრობის პოზიციის თანახმად, ევროპულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული „შემჭიდროვებული სამართალწარმოების“ ბუნება. სასამართლოსათვის იმ უფლებამოსილების მინიჭება, დაესაჯა უპატივცემულო ქმედება დაუყოვნებლივ, თუკი იგი უშუალოდ იყო ჩადენილი მის წინაშე, საერთო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკა იყო და ემსახურებოდა მართლმსაჯულების ავტორიტეტის დაცვას. მთავრობამ მოიხმო ამ საქმეში მესამე მხარედ ჩართული სახელმწიფოების მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც, სასამართლოსადმი უპატივცემულობის საქმეთა განხილვა სრულიად არ წარმოადგენდა დავის განხილვას მოსამართლესა და სავარაუდო დამრღვევს შორის. არამედ ის, ემსახურებოდა სასამართლოს უმთავრეს მიზანს, საქმის სამართლიან და დროულ განხილვას. ირლანდიის მთავრობის პოზიციის თანახმად, გაცილებით დიდი პრობლემა იქნებოდა თუ მოსამართლე გამოძიების წინაშე წარდგებოდა როგორც მოწმე, ვიდრე ის, რომ თვითონ განეხილა საქმე.

### **კანონმდებლობა**

ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მე-20 პუნქტის თანახმად, ადვოკატები უნდა სარგებლობდნენ „სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმუნიტეტით იმ განცხადებების გამო, რომლებიც მათ გააკეთეს კეთილი განზრახვით სასამართლო კამათის მსვლელობისას თავიანთი პროფესიული გამოსვლის დროს სასამართლოს ან საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე“. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ ადვოკატთა პროფესიული თავისუფლება. ადვოკატი არ უნდა დაექვემდებაროს რაიმე სანქციას ან ზეწოლას, თუ იგი მოქმედებდა შესაბამისი სტანდარტების დაცვით. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნას ეხება, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური თვალსაზრისით. რაც შეეხება კონვენციის მე-10 მუხლს, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადვოკატის საჩივარი ამ მუხლთან მიმართებით შეეხებოდა იმ ზიანს, რომელიც მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებამ განიცადა დამნაშავედ ცნობისა და სასჯელის შედეგად.

### **სამართლებრივი შეფასება**

ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლოსადმი ხალხის ნდობას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამიტომაც აყენებდა კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნას, რაც მოიცავდა სუბიექტურ და ობიექტურ ასპექტებს. სუბიექტურის თანახმად, გამორიცხული უნდა ყოფილიყო მოსამართლის პირადი დაინტერესება საქმის შედეგით, ობიექტური კი იმის შეფასებას გულისხმობდა, იყო თუ არა მხარეებისთვის უზრუნველყოფილი საკმარისი გარანტიები, რათა არ წარმოშობილიყო კანონიერი ეჭვები სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ. ამასთანავე, დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ობიექტური შეფასებისას გადაწყვეტი იყო არა თავისთავად სასამართლოს მიუკერძოებლობა, არამედ ის, თუ ობიექტურად რამდენად გამართლებული შეიძლება ყოფილიყო შიში სასამართლოს მიუკერძოებლობისა. ასევე, პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი აღიარებდა სასამართლოს სუბიექტური მიუკერძოებლობის დამტკიცების სირთულეს, ამიტომ საქმეთა უმრავლესობაში, სადაც მიუკერძოებლობის პრობლემა იდგა, იგი ფოკუსს ობიექტურ ტესტზე

აკეთებდა. ბოლოს მიუთითა, რომ მოსამართლეებს მოეთხოვებოდათ თითოეული საქმის განხილვის დროს ეზრუნათ მიუკერძოებელი მსაჯულის იმიჯის შესანარჩუნებლად, რითაც იყო გამოწვეული პრესასთან თავშეკავებული ურთიერთობის მოთხოვნა.

დიდ პალატას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მოსამართლეთა საზრუნავს მართლმსაჯულების პროცესის დაცვა წარმოადგენდა, მაგრამ არც მათი საქციელი შეესაბამებოდა ბოლომდე ამ ინტერესთა უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ასიზების სასამართლოს მიუკერძოებლობისადმი ადვოკატ კიპრიანუს დაეჭვება სუბიექტური ტესტის საფუძველზეც გამართლებულად ჩაითვლებოდა. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი დარღვეულად უნდა მიჩნეულიყო ორივე საფუძველით. ვინაიდან, დიდმა პალატამ აღიარა ზემოხსენებული ნორმის დარღვევა, მიიჩნია, რომ მოცემული საქმის კონტექსტში აღარ იყო საჭირო იმის გარკვევა დაერღვა თუ არა მომჩივანს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სხვა უფლებებიც. აგრეთვე, ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის განხილვა, ვინაიდან, მომჩივნის მიერ დაყენებული არსებითი საკითხები განხილული იყო კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე. თუმცა, განსხვავებული პოზიცია დაიკავა დიდმა პალატამ და მიიჩნია, რომ მომჩივნის საჩივარი მე-10 მუხლთან დაკავშირებით შეეხებოდა იმ ზიანს, რომელიც მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებამ განიცადა დამნაშავედ ცნობისა და სასჯელის შედეგად. ამიტომ ეს საჩივარი, თავისი ბუნებით განსხვავდებოდა იმ საჩივრისგან, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლს შეეხებოდა და უნდა განხილულიყო ცალკე.

ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ ადვოკატის დამნაშავედ ცნობა და სასჯელი სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის წარმოადგენდა მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. დიდი პალატის განმარტებით, ფრაზა „სასამართლოს ავტორიტეტი“ მოიცავს იმ გაგებას, რომ სასამართლოები არიან და ხალხის მიერ აღიქმებიან, როგორც სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ერთადერთი სათანადო და შესაბამისი დაწესებულება. სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა ფაქტობრივად გულისხმობდა დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთო სასამართლოსადმი, ისევე როგორც უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესისადმი ხალხის ნდობის უზრუნველყოფას.

მართლმსაჯულების პროცესში ადვოკატთა განსაკუთრებული როლი და სტატუსი - როგორც შუამავლობისა ხალხსა და სასამართლოს შორის - განაპირობებდა მათი ქცევისადმი შეზღუდვების დაწესებას. მათი როლის გათვალისწინებით, სავსებით კანონიერი იყო მოლოდინი იმისა, რომ ისინი ხელს შეუწყობდნენ მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებასა და ხალხის ნდობის უზრუნველყოფას.

მართალია ადვოკატებს გააჩნდათ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ კომენტარის უფლება, მაგრამ მათ კრიტიკას არ უნდა გადაეღობა განსაზღვრული მიჯნები. უფრო მეტიც, ადვოკატის სიტყვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში არ იყო შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, მათ შორის, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა, წარმოადგენდა საკმარის გამართლებას მის შესაზღუდავად. ამის მიუხედავად, ადვოკატთა მიმართ გამოყენებული სისხლისამართლებრივი სასჯელები მათი აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევაში შეიძლება მიჩნეულიყო „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ამკარაა, რომ სასამართლოში თავიანთი კლიენტის დაცვისას, ადვოკატები ძალზე ხშირად შეიძლება აღმოჩენილიყვნენ დელიკატურ ვითარებაში, როდესაც უნდა გადაეწყვიტათ, გაეპროტესტებინათ

თუ არა სასამართლოს ესა თუ ის მოქმედება კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით; მართლმსაჯულების განხორციელების პროცესისადმი ხალხის ნდობისათვის ისინი ვალდებული იყვნენ, უზრუნველყოთ ეფექტიანი წარმომადგენლობა. საპატიმრო სასჯელის გამოყენება, თავისი ბუნების გამო, უთუოდ იქონიებდა „მსუსხავ ეფექტს“ არა მარტო შესაბამის ადვოკატებზე, არამედ ადვოკატის პროფესიაზე საერთოდ. ასეთი სასჯელი განსაზღვრულ გარემოებაში შეიძლება წარმოადგენდეს არა მარტო კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი ადვოკატის აზრის გამოხატვის თავისუფლების, არამედ მისი კლიენტის (კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული) სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევასაც. „მსუსხავი ეფექტი“ უთუოდ უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის განსაზღვრისას.

საბოლოოდ, აღნიშნულ საქმეზე დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ ასიზების სასამართლომ ვერ ჩამოაყალიბა სამართლიანი ბალანსი სასამართლოს ავტორიტეტის დაცვისა და ადვოკატის სიტყვის თავისუფლების დაცვის კანონიერ ინტერესებს შორის. ამიტომ კონვენციის მე-10 მუხლი შემზღვეველი ღონისძიების არათანაზომიერების მოტივით დარღვეულად მიიჩნია. ევროპული სასამართლო დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მხოლოდ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევით ადვოკატმა განიცადა მორალური ზიანი, რომლის კომპენსაციისთვის საკმარისი არ იყო მხოლოდ კონვენციის დარღვევის აღიარება, ამიტომ ადვოკატს მიაკუთვნა 15 000 ევროს კომპენსაცია.